MES 2 22 0000443804

03/05/2022

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს
სხდომის ოქმი

ქ. თბილისი
სხდომის თარიღი: 15.04.2022
სხდომის დაწყების დრო: 14:05 სთ
სხდომის დასრულების დრო: 18:20სთ
საბჭოს თავმჯდომარე: გოდერძი ბუჩაშვილი
საბჭოს მდივანი: დავით ტეფნაძე

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" (შემდეგში-აკრედიტაციის დებულება) 33-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით.

საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის (შემდგომში საბჭო) სხდომაზე დამსწრე წევრები:
1. გოდერძი ბუჩაშვილი - შპს „საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ-ის" ადმინისტრაციული მიმართულებით ვიცე-რექტორი - საბჭოს თავმჯდომარე;
2. ანზორ ბერიძე - სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე სამეცნიერო დარგში;
3. ირინა გველესიანი - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი;
4. მაკა კაჭარავა - სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, ასოცირებული პროფესორი;
5. ირინა ლობჟანიძე - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი;
6. თეა მჭედლური - სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი;
7. ეკატერინე ნაცვლიშვილი - შპს „ევროპის უნივერსიტეტის" ასოცირებული პროფესორი;

8. თამარ სირაძე - სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე სასწავლო დარგში;
9. დავით ტეფნაძე - ა(ა)იპ - საქართველოს სტუდენტური ორგანიზაციების ასოციაციის ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის დოქტორანტი (საბჭოს მდივანი);
10. ეკატერინე შაკიაშვილი - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიებისა და სოციალური მეცნიერებების ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, პროფესორი;
11. დავით ჩოჩიშვილი - სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი;
12. გურანდა ჭელიძე - შპს "კავკასიის უნივერსიტეტის პროფესორი.

სხდომაზე დამსწრე პირები:

- **სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:**

N	სახელი, გვარი	სტატუსი
1	**თორნიკე ბაქაქური**	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი
2	**ლაშა მაჭარაშვილი**	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი
3	**ნინო შიოშვილი**	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი
4	**ლალი ოდიშვილი**	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი
5	**ქრისტინე აბულაძე**	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი
6	**თამთა მოხევიშვილი**	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი
7	**თამთა ანთიძე**	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი
8	**სოფიკო ქურასბედიანი**	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი
9	**ანა ჯუღელი**	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი
10	**ნინო გულიაშვილი**	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი
11	**ანა ქოიავა**	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი

- **საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები:**

N	სახელი, გვარი	საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება	სტატუსი	საკითხი
1.	კახა შენგელია		უნივერსიტეტის პრეზიდენტი	I-VI
2.	ნუგზარ სხირტლაძე		ვიცე-პრეზიდენტი სასწავლო დარგში	I-VI
3.	ბორის ლეჟავა		ვიცე-პრეზიდენტი კვლევისა და სტრატეგიული განვითარების დარგში	I-VI
4.	დიანა მჭედლიშვილი		ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის დირექტორი	I-VI
5	შოთა ნიჟარაძე		ტექნოლოგიების სკოლის დეკანი	I-VI
6	მაქსიმ იავიჩი		კიბერუსაფრთხოების“ ინგლისურენოვანი ერთობლივი საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელი	I-VI
7	Tamara Cunningham		Associate Vice President, NJCU	I-VI
8	Marvin Walker		Associate Dean, College of Professional Studies	I-VI
9	ელენე ჯღარკავა	შპს - კავკასიის უნივერსიტეტი	ბიზნესის სკოლის დეკანი, „ბიზნესის ადმინისტრირების“ ინგლისურენოვანი ერთობლივი საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელი	I-VI
10	Ben Chaumette		Senior Advisor to the Dean, RSB	I-VI
11	Béatrice Rabet		Dean for Programmes, RSB	I-VI
12	ნინო კალანდაძე		ტურიზმის სკოლის დეკანი	I-VI
13	გიორგი ბრეგაძე		მასპინძლობის მენეჯმენტის“ ინგლისურენოვანი ერთობლივი საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელი	I-VI
14	Jason Scorza		Vice Provost for International Affairs, FDU	I-VI
15	Iris Gersh		Program Coordinator/Assessment Director, FDU	I-VI

16	ეკა აკობია		სახელმწიფო მართვის სკოლის დეკანი, დიპლომატია და საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების თანახელმძღვანელი	I-VI
17	სერგი კაპანაძე		საერთაშორისო ურთიერთობების სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელი	I-VI

- **აკრედიტაციის ექსპერტები:**

N	სახელი, გვარი	ინფორმაცია ელექტრონული საშუალებით მონაწილეობის შესახებ	საკითხი
1	ჯოფრი ნორმან დიკი	(ჩაერთო „ზუმით“)	I
2	თამთა ცხოვრებაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	I, III
3	მიხეილ რუხაია	(ჩაერთო „ზუმით“)	I
4	გიორგი ბეროშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	I
5	დავით კაკიაშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	I
6	დემილ ბენუა	(ჩაერთო „ზუმით“)	II
7	მერაბ ხოხობაია	(ჩაერთო „ზუმით“)	II, III
8	დავით ქარცივაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	II
9	ილია ბოცვაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	II
10	ვლადიმერ ბერაია	(ჩაერთო „ზუმით“)	II
11	ჯეფრი კარმენ ლოლი	(ჩაერთო „ზუმით“)	III
12	ლეილა ახმეტელაშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	III
13	მარიამ დენოსაშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	III
14	ირაკლი მანველიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	IV, V, VI
15	ივანნა მაჩიტიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	IV, V, VI

აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარემ გოდერძი ბუჩაშვილმა.

საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. თავჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა აკრედიტაციის დებულების 27^5-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

საბჭოს სხდომა დაიწყო: 14:05 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი:
1. შპს - კავკასიის უნივერსიტეტის და ნიუ ჯერსი სითი უნივერსიტეტის „კიბერუსაფრთხოების“ ერთობლივი ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. შპს - კავკასიის უნივერსიტეტის და რენის ბიზნეს სკოლის „ბიზნესის ადმინისტრირების“ ინგლისურენოვანი ერთობლივი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა;
3. შპს - კავკასიის უნივერსიტეტის და ფერლი დიკინსონის უნივერსიტეტის „მასპინძლობის მენეჯმენტის“ ინგლისურენოვანი ერთობლივი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა;
4. შპს - კავკასიის უნივერსიტეტის „დიპლომატიისა და საერთაშორისო ურთიერთობების“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობის დადგენის განხილვა;
5. შპს - კავკასიის უნივერსიტეტის „დიპლომატიისა და საერთაშორისო ურთიერთობების“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობის დადგენის განხილვა;
6. შპს - კავკასიის უნივერსიტეტის „საერთაშორისო ურთიერთობების“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობის დადგენის განხილვა;

შუამდგომლობა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით
- არა

დამტკიცებული დღის წესრიგი:
1. შპს - კავკასიის უნივერსიტეტის და ნიუ ჯერსი სითი უნივერსიტეტის „კიბერუსაფრთხოების“ ერთობლივი ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. შპს - კავკასიის უნივერსიტეტის და რენის ბიზნეს სკოლის „ბიზნესის ადმინისტრირების“ ინგლისურენოვანი ერთობლივი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა;
3. შპს - კავკასიის უნივერსიტეტის და ფერლი დიკინსონის უნივერსიტეტის „მასპინძლობის მენეჯმენტის“ ინგლისურენოვანი ერთობლივი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა;
4. შპს - კავკასიის უნივერსიტეტის „დიპლომატიისა და საერთაშორისო ურთიერთობების“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობის დადგენის განხილვა;
5. შპს - კავკასიის უნივერსიტეტის „დიპლომატიისა და საერთაშორისო ურთიერთობების“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობის დადგენის განხილვა;
6. შპს - კავკასიის უნივერსიტეტის „საერთაშორისო ურთიერთობების“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობის დადგენის განხილვა;

1. პირველი საკითხი: შპს - კავკასიის უნივერსიტეტის და ნიუ ჯერსი სითი უნივერსიტეტის „კიბერუსაფრთხოების“ ერთობლივი ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	კიბერუსაფრთხოების ერთობლივი პროგრამა / Joint Program in Cyber Security
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	1. შპს კავკასიის უნივერსიტეტი 2. ნიუ ჯერსი სითი უნივერსიტეტი (აშშ)
3	სტატუსი	ახალი
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	-
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	VI
9	კვალიფიკაციის დასახელება	1. კავკასიის უნივერსიტეტი - მეცნიერების ბაკალავრი კომპიუტერულ მეცნიერებაში / Bachelor of Science in Computer Science 2. ნიუ ჯერსი სითი უნივერსიტეტი - მეცნიერების ბაკალავრი კიბერუსაფრთხოებაში / Bachelor of Science in Cyber Security
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0613 - პროგრამული უზრუნველყოფისა და აპლიკაციების განვითარება და ანალიზი
12	სწავლების ენა	ინგლისური
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	200
14	განხორციელების ადგილი	1. კავკასიის უნივერსიტეტი - პაატა სააკაძის #1, თბილისი, 0102, საქართველო 2. ნიუ ჯერსი სითი უნივერსიტეტი - 2039 კენედის Blvd ჯერსის სითი, ნიუ – იორკი, 07003, აშშ
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

√ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

√ დიახ

თვითაცილება განაცხადა გურანდა ჭელიძემ

თვითაცილების საფუძველს წარმოადგენს შრომითი ურთიერთობა დაწესებულებასთან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმოიხილა პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობა, რომელიც შეფასდა შემდეგნაირად: ხუთივე სტანდარტი შეფასდა, როგორც შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

პირველი საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, აღნიშნა, რომ წარმოდგენილი პროგრამა არის ერთობლივი საბაკალავრო პროგრამა შპს კავკასიის უნივერსიტეტსა და ნიუ-ჯერსი სითი უნივერსიტეტს შორის, რომელიცკავკასიის უნივერსიტეტის სტუდენტებს საშუალებას აძლევს ისწავლონ სამწლიან (200 კრედიტიანი) ერთობლივ საბაკალავრო პროგრამაზე - კავკასიის უნივერსიტეტში, ისწავლონ 2 წლის განმავლობაში და მიიღონ ერთობლივი ბაკალავრის ხარისხი კიბერუსაფრთხოებაში კრედიტების ტრანსფერისა და ნიუ-ჯერსი სითი უნივერსიტეტში 1 წლიანი სწავლების გზით. ყველა სტუდენტი გაემგზავრება ნიუ-ჯერსიში და გაივლის 5 კურსს ნიუ-ჯერსი სითი უნივერსიტეტში პირისპირ სწავლების საშუალებით.
დაწესებულებაში ვიზიტი განხორციელდა როგორც კამპუსში, ისე ონლაინ ზუმის პლატფორმის საშუალებით ორშაბათს და სამშაბათს, 2022 წლის 21 და 22 თებერვალს. ექსპერტთა ჯგუფი შეხვდა უნივერსიტეტის წარმომადგენლებს, პროგრამის ხელმძღვანელებს, აკადემიკოსებს, ოფიციალურ პირებს, სტუდენტებს და გარე დაინტერესებულ მხარეებს. ასევე ჩატარდა ნიუ-ჯერსის უნივერსიტეტის ობიექტების მოკლე ვირტუალური მიმოხილვის ტური.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს გააცნო დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაციები:
1. რეკომენდირებულია, რომ პროგრამამ სწავლის თითოეული შედეგისთვის შეიმუშაოს შესრულების ინდიკატორების ყოვლისმომცველი ნაკრები და შემდეგ განსაზღვროს სტუდენტის ცალკეული ამოცანები (ამ შესრულების ინდიკატორებზე დაყრდნობით), რომელიც განსაზღვრავს მიღწეულია თუ არა სწავლის შედეგი. ეს შეიძლება მოიცავდეს პროექტებს, ლაბორატორიულ სამუშაოებს, დავალებებს, ტესტებს, იმას, თუ რამდენად კარგად მუშაობენ სტუდენტები გუნდებში და ა.შ., ვიდრე კურსის ნაკლებად დაყოფილი საერთო შეფასება.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
საბჭოს წევრმა, მაკა კაჭარავამ აღნიშნა, რომ პროგრამის მოცულობა არის 200 კრედიტი, შესაბამისად მოუწოდა დაწესებულების წამომადგენლებს საკითხის განმარტებისკენ. ამასთან საბჭოს წევრმა აღნიშნა, რომ უცხოელი სტუდენტებისთვის მიღების წინაპირობები საკმაოდ დეტალურად არის განსაზღვრული, თუმცა რაც შეეხება ქართველ სტუდენტებს, მოცემულია მხოლოდ ინგლისური ენა, გამომდინარე აქედან საბჭოს წევრმა მოუწოდა დაწესებულებას დაეზუსტებინა მოცემული საკითხი.

საბჭოს წევრმა, ირინა გველესიანმა აღნიშნა ინგლისური ენის სილაბუსი და განმარტა, რომ ლიტერატურის ნაწილში ერთ-ერთ წყაროდ წარმოდგენილია ელექტრონული და ბეჭდური მედია. შესაბამისად, საბჭოს წევრმა მოუწოდა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეზუსტებინათ, თუ რომელ ბეჭდურ და ელექტრონულ გამომცემლობასა თუ პუბლიკაციებზე არის საუბარი და რა დოზით იქნება ისინი გამოყენებული სწავლების პროცესში.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფსა და ნიუ ჯერსი სითის უნივერსიტეტს მხარში დგომისთვის და პროგრამის ფარგლებში დახმარებისთვის.

უნივერსიტეტის წარმომადგენელმა ისაუბრა დასკვნაში არსებულ რეკომენდაციაზე და აღნიშნა, რომ სწავლის შედეგების მექანიზმი სწორად იმ საკითხებს ითვალისწინებს, რაც რეკომენდაციით არის განსაზღვრული. თუმცა ვინაიდან პროგრამა ახალია და ჯერ არ მომხდარა მისი განხორციელება, აღნიშნული საკითხები არ არის დეტალურად გაწერილი. მოქმედ პროგრამებთან მიმართებით, დაწესებულებას გაწერილი აქვს გეგმა, თუ რომელ სწავლის შედეგზე დაკვირვება მიმდინარეობს კონკრეტულ სემესტრში და შესაბამისად, რომელი სასწავლო კურსები გადიან აღნიშნულ შედეგზე. ამის შესაბამისად დგება სწავლის ხარისხის ჯგუფი, სადა მონაწილეობენ უშუალოდ პროგრამის განმახორციელებლები. ეს მექანიზმი რეალურად დაწესებულებაში არსებობს, თუმცა არ არის განხორცილებული კონკრეტულად მოცემული პროგრამის ფარგლებში, ვინაიდან პროგრამა არ არის ამოქმედებული, ხოლო როგორც კი მოხდება პროგრამის ამოქმედება, ჯგუფი შეიქმნება მოცემულ პროგრამასთან მიმართებითაც და ბუნებრივია, იგივე პროცესი გაგრძელდება.

რაც შეეხება კრედიტების რაოდენობას, მინისტრის ბრძანება ერთობლივი პროგრამების შესახებ მოიაზრებს, რომ პროგრამა უნდა მოიცავდეს მინიმუმ 180 კრედიტს, თუმცა ეს არ ზღუდავს იმას, რომ პროგრამა იყოს 180 კრედიტზე მეტი. მოცემულ შემთხვევაში, ვინაიდან პროგრამა ერთობლივია, რომ მომხდარიყო ყველა სასწავლო შედეგზე გასვლა, კრედიტების რაოდენობად განისაზღვრა 200 კრედიტი, რათა ასევე აღნიშნული მორგებოდა ამერიკის უნივერისტეტის მოთხოვნებსა და სტანდარტებს. კრედიტების გადანაწილების საკითხიც სწორედ ამ პრინციპით არის განსაზღვრული.

დაწესებულების წარმომადგენელმა ისაუბრა, ასევე, მიღების წინაპირობებთან დაკავშირებით და განმარტა, რომ საქართველოს მოქალაქეებისთვის არ არის დაწესებული ბარიერი, რადგანაც ეროვნული გამოცდები B2 დონეს არ ადგენს, თუმცა საგამოცდო ანკეტა-კითხვაში მინიმალური ზღვარი იქნება აწეული. ამასთან დაწესებულებაში ინგლისური საკმაოდ სიღრმისეულად ისწავლება. შესაბამისად, ამ მხივ ქართველი სტუდენტები უზრუნველყოფილი იქნებიან შესაბამისი დონის სწავლების შესაძლებლობით.

რაც შეეხება ინგლისური ენის სილაბუსს, აღნიშნული, სავარაუდოდ, გულისხმობს თარგმნას, ბეჭდური და ელექტრონული მედიის კონკრეტულ კომპონენტებში ჩართვასა და გამოყენებას.

ნიუ ჯერსის უნივერსიტეტის წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა კავკასიის უნივერსიტეტის წარმომადგენლებს თანამშრომლობისა და გაწეული სამუშაოსთვის. ამასთან, აღნიშნა, რომ უნივერისტეტი დიდ ყურადღებას აქცევს კურსების შეფასებას, რომელიც ხორციელდება როგორც კურსის დასაწყისში, ასევე ბოლოს. გარდა ამისა, უნდა აღინიშნოს, რომ უნივერისტეტი საკმაოდ მჭიდრო კავშირს ინარჩუნებს ინდუსტრიასთან და დამსაქმებლებთან. შესაბამისად, შეფასების სისტემა და სასწავლო ციკლი არის კონცენტრირებული იმაზე, რომ არსებობდეს ღია ინდიკატორები, რომლებიც მიუთითებს იმაზე თუ რამდენად შეესაბამება პროგრამა შრომის ბაზრის მოთხოვნებს, კურსის შედეგები კი თავად კურსის მოთხოვნებს. უნივერსიტეტი მიმართულია იმისკენ, რომ თითოეული პროგრამა მაქსიმალურად შეესაბამებოდეს თანამედროვე გამოწვევებსა და მოთხოვნებს და, ასევე, მარტივად სინქრონიზირდებოდეს ონლაინ სწავლებასთან.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 14:30
დასრულების დრო: 14:55

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - კავკასიის უნივერსიტეტის და ნიუ ჯერსი სითი უნივერსიტეტის „კიბერუსაფრთხოების“ ერთობლივი ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი, 4 წლის ვადით.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 11
წინააღმდეგი - 0

აკრედიტაციის საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება, კერძოდ გაცემული რეკომენდაცია გადატანილ იქნა რჩევაში და 1.2. კომპონენტის შეფასება ნაცვლად “მეტწილად შესაბამისია მოთხოვნებთან”, განსაზღვრა, როგორც “შესაბამისია მოთხოვნებთან”.
რჩევები ჩამოაყალიბდა შემდეგი რედაქტირებით:

რჩევები:

- სასურველია, რომ პროგრამამ სწავლის თითოეული შედეგისთვის შეიმუშაოს შესრულების ინდიკატორების ყოვლისმომცველი ნაკრები და შემდეგ განსაზღვროს სტუდენტის ცალკეული ამოცანები (ამ შესრულების ინდიკატორებზე დაყრდნობით), რომელიც განსაზღვრავს მიღწეულია თუ არა სწავლის შედეგი. ის შეიძლება მოიცავდეს პროექტებს, ლაბორატორიულ სამუშაოებს, დავალებებს, ტესტებს, იმას, თუ რამდენად კარგად მუშაობენ სტუდენტები გუნდებში და ა.შ., ვიდრე კურსის ნაკლებად დაყოფილი საერთო შეფასება.
- ექსპერტთა ჯგუფი პროგრამის ადმინისტრაციას საქართველოში ურჩევს მჭიდრო თანამშრომლობა დაამყაროს საქართველოს უსაფრთხოების სამსახურებთან, რათა პროგრამა ყოველთვის იყოს თანამედროვე და ადგილობრივი საჭიროებების შესაბამისი; საჭიროა მუშაობა განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრთან, რათა კიბერუსაფრთხოება დაემატოს საქართველოს სწავლის სფეროების კლასიფიკაციას და მოხდეს შესაბამისი ხარისხის მინიჭება; ორივე დაწესებულებამ უნდა იფიქროს ცენტრალიზებული შეფასებისა და ადმინისტრირების სისტემაზე, ხარისხის უზრუნველყოფის საერთო შეფასებისა და მონიტორინგის ელექტრონულ პლატფორმაზე; მათ უნდა მოაწყონ ოფიციალური და/ან არაოფიციალური შეხვედრები ორივე დაწესებულების აკადემიური და მოწვეული პერსონალისთვის, რათა შექმნან პლატფორმა გამოცდილების, უნარებისა და ცოდნის გაზიარებისთვის;
- ექსპერტთა ჯგუფის რჩევაა, ნიუ-ჯერსი სითი უნივერსიტეტის დაშვების წინაპირობები დაიწეროს ისე, რომ ნათლად მიუთითებდეს (როგორც წერია ხელშეკრულებაში) შემდეგს: სტუდენტები ცალკე განაცხადს აკეთებენ ნიუ-ჯერსი სითი უნივერსიტეტში და მოეთხოვებათ მინიმუმ 90 ECTS ფლობა და "C1-ის" მოპოვება ყველა საგანში.
- ექსპერტთა ჯგუფი თვლის, რომ სასარგებლო იქნება ლაბორატორიულ ან პრაქტიკულ სამუშაოებში მიღწეული სწავლის შედეგების უფრო ღრმა ანალიზი, განსაკუთრებით კურსდამთავრებულებისთვის საჭირო პროფესიული უნარებისა და კომპეტენციების კუთხით.

გადაწყვეტილება:

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-3^1 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და 3^1 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შპს კავკასიის უნივერსიტეტის „კიბერუსაფრთხოების“ ერთობლივი ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 4 წლის ვადით.

2. მეორე საკითხი: შპს - კავკასიის უნივერსიტეტის და რენის ბიზნეს სკოლის „ბიზნესის ადმინისტრირების“ ინგლისურენოვანი ერთობლივი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა;

№	**ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ბიზნესის ადმინისტრირების ერთობლივი პროგრამა Joint Program of Business Administration
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	1. შპს კავკასიის უნივერსიტეტი 2. რენის ბიზნესის სკოლა (რენი, საფრანგეთი)
3	სტატუსი	ახალი
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	-
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	VI
9	კვალიფიკაციის დასახელება	მენეჯმენტის ბაკალავრი Bachelor of Management
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0413 მენეჯმენტი და ადმინისტრირება
12	სწავლების ენა	ინგლისური
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	184
14	განხორციელების ადგილი	1. კავკასიის უნივერსიტეტი, პაატა სააკაძის #1, თბილისი, 0102, საქართველო 2. რენის ბიზნესის სკოლა, 2 rue Robert d’Arbrissel 35000 Rennes, საფრანგეთი

15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ დიახ
თვითაცილება განაცხადა გურანდა ჭელიძემ.
თვითაცილების საფუძველს წარმოადგენს შრომითი ურთიერთობა დაწესებულებასთან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმოიხილა პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობა, რომელიც შეფასდა შემდეგნაირად: ხუთივე სტანდარტი შეფასდა, როგორც შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

მეორე საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, აღნიშნა, რომ ერთობლივი საბაკალავრო პროგრამა ბიზნესის ადმინისტრირებაში არის კავკასიის ბიზნესის სკოლის, კავკასიის უნივერსიტეტის (საქართველო) ფაკულტეტისა და რენის ბიზნეს სკოლის (საფრანგეთი) ახალი ერთობლივი პროგრამა. პარტნიორებს აქვთ ხანგრძლივი ურთიერთობა, რადგან თითოეულმა მათგანმა წარსულში გაგზავნა და უმასპინძლა სტუდენტებს სხვა დაწესებულებიდან. პროგრამის მიზანია კონკურენტუნარიანი, მაღალკვალიფიციური, მორალურად სრულყოფილი სპეციალისტების მომზადება, რომლებიც იზიარებენ დემოკრატიულ იდეალებს ადგილობრივ და საერთაშორისო შრომის ბაზრებზე და უზრუნველყოფენ საზოგადოების საგანმანათლებლო მოთხოვნილების დაკმაყოფილებას ამ სფეროში“. პროგრამა აჩვენებს შესაბამისობას ამ გლობალურ მიზნებთან, რადგანაც უზრუნველყოფს საერთაშორისო გამოცდილებას მულტიკულტურულ გარემოში, მენეჯმენტის კვალიფიკაციას, სპეციალიზაციას მარკეტინგსა და ფინანსებში, და ხელს უწყობს ინდივიდუალურ და კოლექტიურ რეფლექსიას.
სამი წლის განმავლობაში პროგრამას 40 აკადემიური პერსონალი ახორციელებს. თითოეულ აკადემიურ პერსონალს აქვს შესაბამისი ხარისხი და სამუშაო გამოცდილება. აკადემიური პერსონალის პროფესიული განვითარება დადასტურებულია კვლევითი საქმიანობით, რომელიც შედგება კონფერენციებისა და პუბლიკაციებისგან (სამუშაო ნაშრომები, სტატიები ეროვნულ და საერთაშორისო რეცენზირებად/არარეცენზირებად ჟურნალებში).
აკრედიტაციისთვის ონლაინ ვიზიტი შედგა პარასკევს, 2022 წლის 18 თებერვალს. ვიზიტამდე დაახლოებით ორი კვირით ადრე ექსპერტებს ჰქონდათ წვდომა პროგრამის სხვადასხვა

დოკუმენტებზე (თოთხმეტი საქაღალდე). დოკუმენტები მოიცავს პროგრამის ფართო და მრავალფეროვან ასპექტებს: თვითშეფასების ანგარიში, კურსების დეტალური სილაბუსები, ადამიანური რესურსები, სწავლის შედეგები, თანამშრომლობის მემორანდუმი, ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები, ბიუჯეტი. ვიზიტამდე, ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ ორ საათზე მეტი ხნის განმავლობაში მიმოიხილა საქართველოს სტანდარტების პოლიტიკა. ვიზიტამდე ერთი დღით ადრე შედგა ექსპერტთა პირველი შეხვედრაც. ამან საშუალება მისცა, კოორდინაცია გაეწიათ წევრებისთვის და ქონოდათ პირველი გასაუბრება პროგრამის შესახებ. ვიზიტი ამ პროგრამის მრავალრიცხოვან და სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეებთან გასაუბრების საშუალებას იძლეოდა. ვიზიტის დროს ექსპერტთა ჯგუფს საშუალება ჰქონდა შეხვედროდა და გასაუბრებოდა კავკასიის უნივერსიტეტისა და რენის ბიზნეს სკოლის წარმომადგენლებს, თვითშეფასების ჯგუფის წევრებს, პროგრამის ხელმძღვანელებს, აკადემიურ პერსონალს, ბიბლიოთეკებსა და სასწავლო ცენტრებზე პასუხისმგებელ ადმინისტრაციულ პერსონალს ორივე დაწესებულებაში, დამსაქმებლებს, ორივე დაწესებულების სტუდენტებს და ხარისხის უზრუნველყოფის პერსონალს. საერთო ჯამში, ვიზიტის ფარგლებში 20-ზე მეტი ადამიანი გამოიკითხა. საუბრები იყო გულწრფელი და პირდაპირი. მიღებული ინფორმაცია დააფასა ექსპერტთა ჯგუფმა.

ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა მიერ განსაზღვრული იქნა 2 ძირითადი რეკომენდაცია, თუმცა დაწესებულების პასუხის მიღების შედეგად, აღნიშნული რეკომენდაციები ამოღებული იქნა დასკვნიდან. ერთ-ერთი რეკომენდაცია ეხებოდა ,,მიწოდების ჯაჭვის მართვის“ სასწავლო კურსს, რაზეც დაწესებულებამ განაცხადა, რომ რენის ბიზნესის სკოლის მიერ შემუშავებულია მიწოდების ჯაჭვის მართვის სილაბუსი. შესაბამისად, მისი ინტეგრირება მოხდება პროგრამაში, ფრანგული ენის კრედიტების შემცირების ხარჯზე. რენის ბიზნესის სკოლას ჰყავს შესაბამისი აკადემიური პერსონალი, რომელიც უძღვება მიწოდების ჯაჭვის მართვის კურსს და მისი ჩართულობა მოხდება პროგრამაში.

ამასთან, რეკომენდაცია მოიცავდა, ასევე, საბაკალავრო ნაშრომის საკითხებს, რაზეც დაწესებულებამ განმარტა, რომ პროგრამაში გათვალისწინებულ საბაკალავრო ნაშრომს გააჩნია თავისი გზამკვლევი, სადაც დეტალურად აღწერილია სტუდენტის მიერ შესასრულებელი სამუშაო. ეს დოკუმენტი ვიზიტის დროს არ ყოფილა მოთხოვნილი, თუმცა, ექსპერტების მიერ მოთხოვნის შემთხვევაში, მოხდებოდა მისი წარდგენა. აღნიშნული გზამკვლევის ხილვა დანართის სახითაა ესაძლებელი., ასევე, პროგრამის განხორციელების განმავლობაში რენის ბიზნესის სკოლის გეგმაშია პროგრამაში კურსის - „შესავალი კვლევის მეთოდოლოგიაში“ დამატება. აღნიშნული რეკომენდაცია დასკვნის პროექტში ფორმულირდა, როგორც 2.2 რჩევა. შესაბამისად, ის განიხილება, როგორც რჩევა.

15:40 საათზე საბჭოს შემოუერთდა ნინო ჭალაგანიძე.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ ასევე განმარტა, რომ შპს - კავკასიის უნივერსიტეტის და რენის ბიზნეს სკოლის „ბიზნესის ადმინისტრირების“ ინგლისურენოვანი ერთობლივი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობა შეფასდა შემდეგნაირად:

· პირველი სტანდარტი - საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

· მეორე სტანდარტი - სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა - მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

· მესამე სტანდარტი - სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

· მეოთხე სტანდარტი - სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

· მეხუთე სტანდარტი - სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

საბჭოს თავმჯდომარემ, გოდერძი ბუჩაშვილმა მოუწოდა ექსპერტთა ჯგუფს გაეკეთებინათ განმარტება რჩევასთან დაკავშირებით, რომელიც შეეხებოდა მიღების წინაპირობებს.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ განმარტა, რომ პროგრამაზე დაშვების წინაპირობებთან დაკავშირებით არ იკვეთებოდა არანაირი ხარვეზი. რჩევები ძირითადად უკავშირდებოდა სტაჟირებას, კერძოდ, როგორც ინტერვიუების დროს აღინიშნა, სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა განავითარონ პრაქტიკული უნარები სტაჟირების პერიოდში. დაწესებულებები უზრუნველყოფენ დამხმარე სერვისებს სტაჟირების ამ პერიოდების მოსაძებნად. თუმცა, ეს პერიოდები არ არის გათვალისწინებული კურსის ზოგად სტრუქტურაში და არც ECTS მიიღება სტაჟირების გზით. კურსების განმავლობაში განსხვავებულ პედაგოგიურ მეთოდებს შეუძლიათ განავითარონ შემოქმედებითი, პრაქტიკული ან სამეცნიერო უნარები. პრაქტიკულ კომპონენტს ასევე ავითარებს კლასგარეშე აქტივობები: კონკურსები, ინიცირება ან/და ორგანიზება ხდება დამსაქმებლების მიერ. სტაჟირების პერიოდები მნიშვნელოვანია სტუდენტების პრაქტიკული უნარების განვითარებისთვის დადეტალურად უნდა იყოს წარმოდგენილი პროგრამის ზოგად სტრუქტურაში. მესამე კურსზე სტაჟირება შეიძლება გახდეს სავალდებულო, თავისი შეფასებით. ეს გულისხმობს სტაჟირების შეფასების ბადის უზრუნველყოფას.

ექსპერტმა, ასევე, ისაუბრა სასწავლო კურსებზე დაშვების წინაპირობებთან დაკავშირებით და განმარტა, რომ მართალია პროგრამას აქვს კურიკულუმის რუკა, სადაც ნათლად არის გაწერილი კურსიდან კურსზე გადასვლის პერიოდი, ასევე წინაპირობები, თუმცა ექსპერტებმა იგულისხმეს, რომ უმჯობესი იქნებოდა თვითონ, რომ გაწერილიყო პროგრამაზე დასაშვებად თუ რა ტიპის კომპეტენციები, უნარები და ცოდნა უნდა ჰქონოდა სტუდენტს.

საბჭოს წევრმა, ეკატერინე ნაცვლიშვილმა აღნიშნა, რომ დასავლური პრაქტიკის შესაბამისად სამ წლიან ბიზნესის პროგრამებზე აღარ გვხვდება ტრანსფერული უნარების განმავითარებელი კურსები, ასეთი პროგრამები უპირატესად სპეციალობის ძირითადი და არჩევითი კურსებით არის ხოლმე წარმოდგენილი. მოცემულ პროგრამაში 30 კრედიტი ენიჭება ენის სწავლებას და პროფესიულ ინგლისურს, შემოთავაზებულია ასევე სხვა კურსები, რომელიც ბმაში შეიძლება არ იყოს ძირითად სპეციალობასთან, თუმცა, ეს კურსები წარმოდგენილია სავალდებულო კურსების სახით (ასე მაგალიტად, ფრანგული ენა/ფრანგული ცივილიზაცია 1-2). გამომდინარე აქედან, საბჭოს წევრმა მოუწოდა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეზუსტებინათ, თუ რას ეფუძნებოდა აღნიშნული გადაწყვეტილება. ამასთან, საბჭოს წევრმა დააზუსტა იხელმძღვანელეს თუ არა ექსპერტებმა შეფასების დროს მენეჯმენტის მიმართულების დარგობრივი მახასიათებლით. მან მხარეებს სთხოვა დაეზუსტებინათ, თუ სად იფარება პროგრამის ფარგლებში ისეთი მნიშვნელოვანი დარგობრივი კომპეტენციები, როგორიცაა თანამედროვე ორგანიზაციული თეორიების შესახებ ცოდნა, ფინანსური ბაზრების ნაწილი, საწარმოო ოპერაციების მართვა, და ა.შ.

ამასთან, საბჭოს წევრმა აღნიშნა, რომ რიგ სასწავლო კურსებში მენეჯმენტის მიმართულებით ისეთი საკვანძო საკითხებია განსაზღვრული, რაც აუცილებლად საჭიროებს მენეჯმენტის ზოგად ცოდნას, თუმცაღა, პროგრამაში მენეჯმენტის შესავალი კურსი არ არის ცალკე შეთავაზებული, შესაბამისად, საბჭოს წევრმა მხარეებს მიმართა თხოვნით დაეზუსტებინათ, თუ სად იფარება პროგრამის ფარგლებში მენეჯმენტის საბაზისო საკითხები, რათა სტუდენტს არ გაუჭირდეს მეტად კომპლექსური სასწავლო კურსების დაძლევა.

საბჭოს წევრმა, ირინა გველესიანმა აღნიშნა ,,ბიზნეს სამართლისა“ და ,,დიგიტალური მარკეტინგული კომუნიკაციების“ სასწავლო კურსები და აღნიშნა, რომ ბიზნეს სამართლის სილაბუსში, დამატებითი ლიტერატურის გრაფაში საერთოდ არ არის წარმოდგენილი

ლიტერატურა, ხოლო დიგიტალური მარკეტინგის სასწავლო კურსში გაკეთებულია მითითება, რომ მასალა მოწოდებულ იქნება სწავლების პროცესში. აქედან გამომდინარე, საბჭოს წევრმა მოუწოდა დაწესებულების წარმომადგენლებს საკითხის განმარტებისკენ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს და აღნიშნა, რომ ექსპერტებმა გაითვალისწინეს დაწესებულების პოზიცია, რის შედეგადაც რეკომენდაციები ამოღებული იყო დასკვნიდან.

რაც შეეხება მენეჯმენტის დარგობრივ დოკუმენტს, პროგრამის სააკრედიტაციოდ შემოტანის დროს, აღნიშნული დოკუმენტი არ იყო დამტკიცებული. შესაბამისად, პროგრამის ფარგლებშიც ვერ იქნა გათვალისწინებული. თუმცა დაწესებულება იცნობს აღნიშნულ დოკუმენტს და მუშაობს იმ კუთხით, რომ პროგრამა შესაბამისობაში მოდიოდეს მასთან.

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ ბიზნესის ადმინისტრირების ერთობლივი საბაკალავრო პროგრამა მოიცავს 184 ECTS კრედიტს. პირველი კურსი 60 ECTS კრედიტი, მეორე კურსი 60 ECTS კრედიტი, მესამე კურსი 64 ECTS კრედიტი. პროგრამის სავარაუდო ხანგრძლივობა შეადგენს 3 წელს. სასწავლო წელი აგებულია სემესტრული პრინციპით. ერთი სემესტრი მოიცავს 20 სასწავლო კვირას. შესაბამისად, სასწავლო წელი დაგეგმილია 40 კვირაზე. 1 ECTS კრედიტი უდრის 25 საათს, რაც მოიცავს, როგორც სტუდენტის საკონტაქტო დატვირთვის დროს, ასევე მისი დამოუკიდებელი მუშაობის დროს (შუალედური და დასკვნითი შეფასებისათვის, აგრეთვე საშინაო დავალების მომზადებისათვის განკუთვნილ დროს). პროგრამა სტრუქტურულად დაყოფილია 2+1 სწავლების მოდელით, რომელიც გულისხმობს პირველი ორი აკადემიური წლის კავკასიის ბიზნესის სკოლაში სწავლას, ხოლო მესამე წლის - რენის ბიზნესის სკოლაში სწავლას. პროგრამაში უცხოენოვანი საგნების ნაწილი წარმოდგენილია პროფესიული ინგლისური ენისა და მეორე უცხო ენის - ფრანგულის სახით.

დაწესებულების წარმომადგენელმა ასევე განმარტა, რომ ,,ორგანიზაციული ქცევის“ სასწავლო კურსის ფარგლებში სტუდენტები ეცნობიან მენეჯმენტის ძირითად საკითხებს. გარდა ამისა პროგრამაში არის სასწავლო კურსები, რომლებიც მენეჯმენტის კონკრეტული მიმართულების შესწავლისკენ არის მიმართული, თუნდაც როგორიცაა ფინანსური მენეჯმენტის საკითხები. პროგრამაში მენეჯმენტის საფუძვლების სასწავლო კურსი ცალკე გათვალისწინებული არ არის, თუმცა, აუცილებელი საკითხები იფარება პროგრამის ფარგლებში.

რაც შეეხება საბჭოს წევრების მიერ აღნიშნულ სილაბუსებს, იმ საგნების სილაბუსებში, რომლებშიც ხდება დამატებითი მასალების მუდმივი განახლება, კეთდება მითითება, რომ დამატებითი და განახლებული მასალის მიწოდება მოხდება სწავლების პროცესში.

პარტნიორი უნივერსიტეტის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ბიზნეს სკოლა მუდმივად მზად არის მიიღოს დამატებითი რჩევები, რაც მეტად გააძლიერებს მათ კურიკულუმსა და პროგრამას, რაც მხოლოდ მისასალმებელია.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 15:45
დასრულების დრო: 15:50

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - კავკასიის უნივერსიტეტის და რენის ბიზნეს სკოლის „ბიზნესის ადმინისტრირების“ ინგლისურენოვანი ერთობლივი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის 4 წლის ვადით აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0

აკრედიტაციის საბჭომ სრულად გაიზიარა ექსპერტთა მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება.
რჩევები ჩამოაყალიბდა შემდეგი რედაქტირებით:

- ექსპერტთა ჯგუფის რჩევაა სილაბუსების ჰარმონიზაცია მოთხოვნების, ლექციების დაგეგმვის, სწავლის შედეგების დეტალების და სავალდებულო საკითხავი მასალების განახლების კუთხით. ზოგიერთი ამჟამად ძალიან დეტალურია, ზოგი კი უფრო ზოგადი. 2022 ან 2023 წლებში პროგრამის ამოქმედებისთვის შესაძლოა სილაბუსების განახლებაც იყოს გათვალისწინებული;
- სამუშაო გამოცდილების მოსაპოვებლად სტაჟირების პერიოდები შეიძლება ცალსახად იყოს გათვალისწინებული პროგრამის სტრუქტურაში (სტანდარტი 2.4). ეს გულისხმობს ინფორმაციას მიზნებზე, პერიოდზე, ასევე სტუდენტების მონიტორინგს და საბოლოოდ შეფასების მეთოდს;
- ექსპერტთა ჯგუფი გვთავაზობს რეგულარულ შეხვედრებს ორივე დაწესებულების ერთი და იმავე სფეროს აკადემიურ პერსონალს შორის, რათა უზრუნველყოფილი იყოს სწავლების სესიების თანმიმდევრული პროგრესი და სწავლის შედეგები. ეს რჩევა განსაკუთრებით ეხება ფინანსებისა და მარკეტინგის კურსებს, რომლებიც პროგრამის მიერ განვითარებული ძირითადი უნარებია;
- კვლევის აქტივობა, როგორც ჩანს, არაერთგვაროვნად არის განაწილებული კავკასიის უნივერსიტეტის აკადემიურ პერსონალს შორის. ექსპერტთა ჯგუფის რჩევაა, გააქტიურდეს ძალისხმევა პუბლიკაციების მინიმალური დონის გასაუმჯობესებლად ყველა აკადემიური პერსონალისთვის, მაშინაც კი, თუ მათი უმრავლესობა აჩვენებს კონფერენციაში მონაწილეობის მინიმალურ დონეს;
- პროგრამამ უნდა წაახალისოს კოლეგების მიერ ერთმანეთის შეფასება, რაც გულისხმობს აკადემიური და მოწვეული პერსონალის ლექციებზე დასწრებას. უკუკავშირის გაზიარება ხელს შეუწყობს სწავლების ხარისხის გაუმჯობესებას.
- სასურველია, პროგრამის ფარგლებში უფრო მეტი ყურადღება დაეთმოს მენეჯმენტის საბაზისო საკითხების (მათ შორის, ზოგადი მენეჯმენტის პრინციპების, საწარმოო ოპერაციების მართვის,და სხვ.) სავალდებულოდ სწავლებას,

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-3^1 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და 3^1 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შპს - კავკასიის უნივერსიტეტის და რენის ბიზნეს სკოლის „ბიზნესის ადმინისტრირების“ ინგლისურენოვანი ერთობლივი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 4 წლის ვადით.

15:51 საბჭოს სხდომა დატოვა თეა მჭედლურმა

3. მესამე საკითხი: შპს - კავკასიის უნივერსიტეტის და ფერლი დიკინსონის უნივერსიტეტის „მასპინძლობის მენეჯმენტის“ ინგლისურენოვანი ერთობლივი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა;

№	**ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	მასპინძლობის მენეჯმენტი (ერთობლივი) Hospitality Management (Joint)
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	1. შპს კავკასიის უნივერსიტეტი 2. ფერლი დიკინსონის უნივერსიტეტი (აშშ)
3	სტატუსი	ახალი
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	-
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	VI
9	კვალიფიკაციის დასახელება	1. შპს კავკასიის უნივერსიტეტი - ტურიზმის ბაკალავრი / Bachelor of Tourism 2. ფერლი დიკინსონის უნივერსიტეტი -რიზმიტარული მეცნიერებების ბაკალავრი მასპინძლობასა და ინოვაციურ და მაღალხარისხიან ტურიზმში / Bachelor of Arts in Hospitality & Tourism Innovation and Excellence
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	1015 მოგზაურობა, ტურიზმი და დასვენება
12	სწავლების ენა	ინგლისური
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	200
14	განხორციელების ადგილი	1. შპს კავკასიის უნივერსიტეტი - პაატა სააკაძის ქ. N1, თბილისი, 0102, საქართველო ; 2. ფერლი დიკინსონის უნივერსიტეტი - 1000 River Road 1 Paata Saakadze Street and Teaneck, New Jersey 07666, USA
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

√ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

√ კი

თვითაცილება განაცხადა- გურანდა ჭელიძემ
საფუძველი - შრომითი ხელშეკრულების არსებობა დაწესებულებასთან

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმოიხილა პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობა, რომელიც შეფასდა შემდეგნაირად: მეორე სტანდარტი შეფასდა, როგორც მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან; პირველი, მესამე, მეოთხე და მეხუთე სტანდარტი შეფასდა, როგორც შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

მესამე საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ დაწესებულებაში სააკრედიტაციო ვიზიტამდე, ექსპერტთა ჯგუფის ყველა წევრს მიეწოდა თვითშეფასების ანგარიში, პროგრამის დეტალურ სპეციფიკაციასთან ერთად, ასევე დამხმარე დოკუმენტაცია, როგორიცაა პროგრამის კურსების დეტალური სილაბუსები, ინფორმაცია შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების შესახებ, პროგრამის პერსონალის CV-ები და ა.შ. ექსპერტთა ჯგუფმა ჩაატარა დაწესებულებაში ვიზიტი კავკასიის უნივერსიტეტისა და ფერლი დიკინსონის უნივერსიტეტის ძირითად დაინტერესებულ მხარეებთან ერთად 2022 წლის 28 თებერვალს და 1 მარტს, ვინაიდან პანდემია არ იძლეოდა კავკასიის უნივერსიტეტში გამგზავრების საშუალებას. ექსპერტთა ჯგუფი შეხვდა ერთობლივ ადმინისტრაციულ პერსონალს, თვითშეფასების ჯგუფს, პროგრამის ხელმძღვანელებს, პარალელური პროგრამების სტუდენტებს თითოეულ დაწესებულებაში, დამსაქმებელთა წარმომადგენლებს, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს. ჯგუფმა, ასევე, მიიღო საინფორმაციო რესურსების ვირტუალური ტური და შეხვდა თითოეული შესაბამისი დაწესებულების ბიბლიოთეკარებს. ყველა დაინტერესებული მხარე ჩართული იყო ინფორმაციის მოწოდებაში, თანამშრომლობითი და კოლეგიალური მიდგომით. დაწესებულებაში ვირტუალური ვიზიტის დასასრულს, ჯგუფი შეხვდა პროგრამის ხელმძღვანელებს, რათა წარმოედგინათ წინასწარი დასკვნები. ექსპერტთა ჯგუფმა მადლობა გადაუხადა ყველას თანამშრომლობისა და ნაყოფიერ დისკუსიებში მონაწილეობისათვის დაწესებულებაში ვიზიტის დროს.

შპს - კავკასიის უნივერსიტეტის და ფერლი დიკინსონის უნივერსიტეტის „მასპინძლობის მენეჯმენტის“ ინგლისურენოვანი ერთობლივი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობა შეფასდა შემდეგნაირად:
· პირველი სტანდარტი - საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
· მეორე სტანდარტი - სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა - მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
· მესამე სტანდარტი - სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

· მეოთხე სტანდარტი - სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
· მეხუთე სტანდარტი - სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს გააცნო დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაციები:

- განახლდეს სასწავლო პროგრამაში კონკრეტული კურსების (როგორიცაა შესავალი ტურიზმის მენეჯმენტში, ტურიზმის მარკეტინგი და საერთაშორისო ბაზრები) წინაპირობები;
- ამ კურსების (კვლევის თვისებრივი და რაოდენობრივი მეთოდები, განთავსების ოპერაციები და შემოსავლების მენეჯმენტი, ფინანსური აღრიცხვა) სირთულის გათვალისწინებით, ექსპერტთა ჯგუფი რეკომენდაციას უწევს კურსების თანმიმდევრობის გადახედვას და სასწავლო პროგრამაში უფრო მოწესრიგებულად განაწილებას;
- სადაც ეს შესაძლებელია, რეკომენდებულია ხელახალი შეფასება იმ კურსების გამარტივებისთვის ან გაერთიანებისთვის, რომლებშიც მნიშვნელოვანი შინაარსის გადაფარვებია, მაგალითად, კურსებში - შესავალი ტურიზმში და შესავალი ტურიზმის მენეჯმენტში. სასწავლო გეგმაში, ტურიზმის ძირითად სფეროში ECTS კრედიტების რაოდენობის შემცირებით, პროგრამაში შეიძლება დაემატოს ტურიზმის მეტი არჩევითი კურსი, რომლებიც ფოკუსირებული იქნება ინდუსტრიის ისეთ სფეროებზე, როგორიცაა აგრო ტურიზმი ან სპორტული ტურიზმი. სტუდენტებისთვის მეტი არჩევანი ხელს შეუწყობს მათი უნარების განვითარებას პრაქტიკული და თეორიული პერსპექტივიდან, რაც თავის მხრივ გააძლიერებს სტუდენტების კონკურენტუნარიანობას შრომის ეროვნულ და საერთაშორისო ბაზარზე;
- საჭიროა დამსაქმებლების მეტი ჩართულობა პროგრამის შემუშავების პროცესში.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

საბჭოს წევრმა, ეკატერინე ნაცვლიშვილმა აღნიშნა, რომ პროგრამაში წარმოდგენილია ..მენეჯმენტის საფუძვლების“ სილაბუსი და დააზუსტა, რომ ხომ არ ჯობდა აღნიშნული სასწავლო კურსი განსაზღვრულიყო ტურიზმის მენეჯმენტის წინაპირობად. ამასთან, “ტურიზმის მენეჯმენტის” კურსის სწავლის შედეგებში მოცემულია 3 შედეგი, კერძოდ აღწერს, იდენტიფიცირებას უკეთებს და ხსნის ტურიზმის მენეჯმენტის ძირითად კონცეფციებს; სინთეზირებას უკეთებს ტურიზმის მენეჯმენტის სხვადასხვა ძირითად თეორიებს; აფასებს კორპორატიულ სტრუქტურას ინდუსტრიაში. შესაბამისად, საბჭოს წევრმა დააზუსტა, თუ რამდენად იძლევა სილაბუსში მოცემული თემატიკა და სახელმძღვანელო ამ სწავლის შედეგებზე სრულყოფილად გასვლის შესაძლებლობას.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს კონსტრუქციული ვიზიტისთვის და ისაუბრა დასკვნაში არსებულ რეკომენდაციებზე, კერძოდ, პირველ რეკომენდაციასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ აღნიშნული რეკომენდაცია შეეხებოდა ტექნიქურ პრობლემას (შეცდომით მოხდა პრერეკვიზიტული საგნების შეტანა თავდაპირველად). პრობლემა აღმოფხვრილია და, შესაბამისად,რეკომენდაციაც გაზიარებულია და შესრულებულია.

რაც შეეხება მე-2 რეკომენდაციას, რეკომენდაცია სრულადაა გაზიარებული და შესრულებული. ამისთვის მოხდა კურსების გადანაცვლება კურიკულუმში. „კვლევის რაოდენობრივი და ხარისხობრივი მეთოდები“ ჩანაცვლდა „შეხვედრების მენეჯმენტით“, ხოლო „ფინანსური აღრიცხვა“ ჩანაცვლდა კურსით „ბიზნეს კომუნიკაციები“.
მე-3 რეკომენდაციასთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენლმა განმარტა, რომ რეკომენდაცია არ არის გაზიარებული. კურიკულუმი ხელახლა გადაიხედა პროგრამის ხელმძღვანელების მიერ. ყურადღებით შესწავლის შედეგად არ იქნა აღმოჩენილი საგნებს შორის მნიშვნელოვანი გადაფარვა. შესავალი ტურიზმში, რომელიც პირველ სემესტრში გვხდება ემსახურება სტუდენტების გაცნობას ტურიზმის ძირითადი კონცეფციების, ამ მიმართულებით ცოდნის გაღრმავებას, ხოლო მენეჯმენტის მიმართულებით საკითხების დამატება ხდება ტურიზმის მენეჯმენტის შესწავლით. ასეთი სახით კურიკულუმის ფორმირება აპრობირებულია საქართველოს უნივერსიტეტების თითქმის ყველა კურიკულუმში და რამდენიმე უცხოურ უნივერსიტეტში, რითაც ვხელმძღვანელობდით კურიკულუმის შედგენის პროცესში. ამასთან, კურიკულუმის კიდევ ერთხელ გადახედვამ არ გამოავლინა შესაძლებლობები საგნების შემცირების, თითოეული საგანი ემსახურება სწავლის შედეგების მიღწევას. მოცემული შედეგების მიღწევა არ იქნება შესაძლებელი აღნიშნული საგნების კურიკულუმში არსებობის გარეშე. შესაბამისად, ამ სისტემის დარღვევით სწავლის შედეგებზე გასვლა არ იქნება შესაძლებელი. რაც შეეხება ტურიზმის ნიშურ სფეროებს, კურიკულუმში ის საკმაოდ კარგად არის წარმოდგენილი საგნებით, როგორიცაა: მდგრადობა/ეკოტურიზმი, შესავალი ღვინის სწავლებაში, FDU-ს სამეცნიერო სავალდებულო კურსი 1 (ტურიზმის მდგრადი განვითარება), FDU-ს სამეცნიერო სავალდებულო კურსი 2 (დაცული ტერიტორიების მართვა), ტრანსპორტის ინდუსტრია ტურიზმში, E - ტურიზმი, საზოგადოებასთან ურთიერთობა ტურიზმში. დაწესებულებამ აღნიშნა, რომ საწყის ეტაპზე ეს საგნები საკმარისია იმისთვის, რომ სტუდენტი და კურსდამთავრებული გახადოს კონკურენტუნარიანი ბაზრებზე. თუმცა, პროგრამის განვითარების მიზნებისთვის არჩევითი საგნების მომავალში დამატება განსაზღვრულია თვითშეფასების დოკუმენტით, რომლებიც განისაზღვრება ბაზრის ტრენდსა და გარემოებებზე დაკვირვებით, განსაკუთრებით პოსტპანდემიური პერიოდის გათვალისწინებით. ამდენად, ამ ეტაპზე, დაწესებულებას არ მიაჩნია მიზანშეწონილად დამატებითი არჩევითი საგნებისთვის კრედიტ-საათების გაზრდა ტურიზმის საბაზისო საგნების შემცირების ხარჯზე.
რაც შეეხება მე-4 რეკომენდაციას, აღნიშნული დაწესებულების აზრით, ასევე, ვერ იქნება გაზიარებული. პროგრამის შემუშავების ეტაპზე ჩართული იყო პრაქტიკულად ყველა დამსაქმებელი. ასევე, დაგეგმილია სკოლის მრჩეველთა საბჭო, რომელშიც ინდუსტრიის ყველა ძირითადი წარმომადგენელი შედის, რეგულარული შეკრებები პროგრამის განახლებასთან დაკავშირებით მისი განხორციელების პროცესში სხვა აქტივობები. შესაბამისად, დამსაქმებელების ჩართულობა პროგრამის განვითარების პროცესში ხორციელდება სისტემურად.
პარტნიორი უნივერსიტეტის წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა კავკასიის უნივერსიტეტის წარმომადგენლებს შრომისთვის და კონსტრუქციული მუშაობისთვის პროგრამის გაწერის ფარგლებში. რაც შეეხება კავშირებს დამსაქმებლებთან, უნივერსიტეტი ბევრს მუშაობს იმისთვის, რომ მეტად იყოს დაკავშირებული ინდუსტრიასთან. დაწესებულება მუშაობს იმ კუთხით, რომ სტუდენტი მიმართოს არა მხოლოდ სამსახურის შოვნისკენ, არამედ კრეატიული მიდგომებისაკენ.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 17:03
დასრულების დრო: 17:20

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - კავკასიის უნივერსიტეტის და ფერლი დიკინსონის უნივერსიტეტის „მასპინძლობის მენეჯმენტის“ ინგლისურენოვანი ერთობლივი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 11
წინააღმდეგი - 0

აკრედიტაციის საბჭომ წაწილობრის გაიზიარა ექსპერტთა მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება,. კერძოდ 2.2 კომპონენტის შეფასება, ნაცვლად “ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან” განსაზღვრა, როგორც “მეტწილად შესაბამისობასია მოთხოვნებთან”, 2,3 კომპონენტის შეფასება ნაცვლად “მეტწილად შესაბამისია მოთხოვებთან” განსაზღვრა, როგორც “შესაბამისია მოთხოვნებთან”. შესაბამისად შეიცვალა მე-2 სტანდარტის შეფასება და ნაცვლად ”მეტწილად შესაბამისია მოთხოვნებთან” განისაზღვრა, როგორც “შესაბამისია მოთხოვნებთან”.
რეკომენდაციები და რჩევები ჩამოაყალიბდა შემდეგი რედაქტირებით:
რეკომენდაცია:

1. ამ კურსების (კვლევის თვისებრივი და რაოდენობრივი მეთოდები, განთავსების ოპერაციები და შემოსავლების მენეჯმენტი, ფინანსური აღრიცხვა) სირთულის გათვალისწინებით, ექსპერტთა ჯგუფი რეკომენდაციას უწევს კურსების თანმიმდევრობის გადახედვას და სასწავლო პროგრამაში უფრო მოწესრიგებულად განაწილებას.

რჩევები:

- განახლდეს სასწავლო პროგრამაში კონკრეტული კურსების (როგორიცაა შესავალი ტურიზმის მენეჯმენტში, ტურიზმის მარკეტინგი და საერთაშორისო ბაზრები) წინაპირობები;
- სადაც ეს შესაძლებელია, რეკომენდებულია ხელახალი შეფასება იმ კურსების გამარტივებისთვის ან გაერთიანებისთვის, რომლებშიც მნიშვნელოვანი შინაარსის გადაფარვებია, მაგალითად, კურსებში - შესავალი ტურიზმში და შესავალი ტურიზმის მენეჯმენტში. სასწავლო გეგმაში, ტურიზმის ძირითად სფეროში ECTS კრედიტების რაოდენობის შემცირებით, პროგრამაში შეიძლება დაემატოს ტურიზმის მეტი არჩევითი კურსი, რომლებიც ფოკუსირებული იქნება ინდუსტრიის ისეთ სფეროებზე, როგორიცაა აგროტურიზმი ან სპორტული ტურიზმი. სტუდენტებისთვის მეტი არჩევანი ხელს შეუწყობს მათი უნარების განვითარებას პრაქტიკული და თეორიული პერსპექტივიდან, რაც თავის მხრივ გააძლიერებს სტუდენტების კონკურენტუნარიანობას შრომის ეროვნულ და საერთაშორისო ბაზარზე;
- საჭიროა დამსაქმებლების მეტი ჩართულობა პროგრამის შემუშავების პროცესში;
- სავალდებულო კომპონენტი, პრაქტიკა სასტუმროში, უნდა განახლდეს, რათა მოიცავდეს ტურიზმის სექტორის ორგანიზაციების ფართო სპექტრს. ეს უნდა მოიცავდეს როგორც კურსის სათაურის ცვლილებას, ასევე ECTS კრედიტების ზრდას;
- განახლდეს პროგრამის სავალდებულო ლიტერატურა და უზრუნველყოფილ იქნეს, რომ გამოყენებული იქნება წიგნების ახალი გამოცემები და ინფორმაცია, რათა სტუდენტებმა მიიღონ უახლესი მასალები და ეფექტურად მიაღწიონ პროგრამის სწავლის შედეგებს;
- სასურველია პროგრამის ხელმძღვანელები უფრო ხშირად ხვდებოდნენ ინდუსტრიის წარმომადგენლებს როგორც აშშ-ში, ასევე საქართველოში, რათა მიიღონ უკუკავშირი სტუდენტებისთვის შესაფერისი სტაჟირების ტიპებზე. ეს სტაჟირება სტუდენტებს ხელს შეუწყობს კლასში ნასწავლი თეორიის გამოყენებაში და ერთობლივი ხარისხისთვის საჭირო პრაქტიკული საათების რაოდენობის განსაზღვრაში;

- მიზანშეწონილია შემცირდეს ECTS კრედიტების რაოდენობა კურსებში „აკადემიური წერა 1“ და „აკადემიური წერა 2“, რათა ადგილი დარჩეს ტურიზმთან დაკავშირებული დამატებითი კურსებისთვის ან პრაქტიკული კომპონენტებისთვის;
- გაგრძელდეს და გაძლიერდეს ძალისხმევა ინდუსტრიის წარმომადგენლებთან და ტურიზმთან დაკავშირებულ სხვა დაინტერესებულ მხარეებთან კავშირის განვითარებისთვის;
- პროგრამის მომავალი განვითარებისთვის რეკომენდებულია, რომ მეტი სილაბუსი შეიცავდეს აკადემიურ კალენდარს დაგეგმილი აქტივობებით და დავალებების შესრულების ვადებით. სტუდენტებს გაუადვილდებათ დავალებების დროულად შესრულება. ეს სტუდენტებს უკეთეს წარმოდგენას შეუქმნის იმის შესახებ, თუ რა არის საჭირო წარმატების მისაღწევად;
- საჭიროა სილაბუსების განხილვა. შუალედური და დასკვნითი გამოცდების შესაბამისი ქულების დაგროვების წინაპირობები ზოგიერთ კურსზე განსხვავებულია (აკადემიური წერა-1; აკადემიური წერა-2);
- მართალია, სტუდენტები იღებენ სათანადო კონსულტაციებს და მხარდაჭერას, თუმცა პროგრამის სამომავლო განვითარების მიზნით, ერთობლივი პროგრამისთვის სასურველია დაინიშნოს მენეჯერი, ასისტენტი ან სტუდენტი ოფიცერი;
- გამგზავრებამდე, სტუდენტებისთვის საჭიროა დამატებითი კონსულტაცია და მხარდაჭერა იმ სემესტრთან დაკავშირებით, რომელიც უნდა ისწავლონ ფერლი დიკინსონის უნივერსიტეტს კამპუსში;
- დახმარება გაეწიოს სტუდენტებს ვიზის ან სასწავლო ნებართვის მოპოვებაში, რათა ჩავიდნენ და ისწავლონ ამერიკის შეერთებულ შტატებში, ასევე აშშ-ში სამოგზაუროდ და სასწავლებლად საჭირო სხვა დოკუმენტების მიღებაში;
- მომგებიანი იქნება, თუკი უზრუნველყოფილი იქნება აკადემიური პერსონალის მობილობა ორივე უნივერსიტეტს შორის, ჭეშმარიტი ორმხრივობის უზრუნველყოფის მიზნით;
- ორივე დაწესებულებისთვის ხელსაყრელი იქნება, თუ იფიქრებენ შეფასებისა და ადმინისტრირების ცენტრალიზებულ სისტემაზე, შეიმუშავებენ ელექტრონულ პლატფორმას საერთო ხარისხის უზრუნველყოფის შეფასებისა და მონიტორინგისთვის;
- ორივე დაწესებულების აკადემიური და მოწვეული პერსონალისთვის ოფიციალური და/ან არაფორმალური შეხვედრების ორგანიზება, გამოცდილების, უნარებისა და ცოდნის გაზიარების მიზნით პლატფორმის შესაქმნელად, ხელს შეუწყობდა პროგრამის შემდგომ განვითარებას.

გადაწყვეტილება:

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-3^1 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და 3^1 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შპს - კავკასიის უნივერსიტეტის და ფერლი დიკინსონის უნივერსიტეტის „მასპინძლობის მენეჯმენტის“ ინგლისურენოვანი ერთობლივი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 4 წლის ვადით.

4. მეოთხე საკითხი: შპს - კავკასიის უნივერსიტეტის ,,დიპლომატიისა და საერთაშორისო ურთიერთობების'' საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობის დადგენის განხილვა;

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	დიპლომატია და საერთაშორისო ურთიერთობები
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	25.06.2019 No135
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	დიპლომატია და საერთაშორისო ურთიერთობები
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მე-6
9	კვალიფიკაციის დასახელება	საერთაშორისო ურთიერთობების ბაკალავრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0312 პოლიტიკის მეცნიერებები და მოქალაქეობრიობის საფუძვლები
12	კვალიფიკაციის დასახელება და კოდი საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 10 დეკემბრის №120/ნ ბრძანების მიხედვით	სოციალური მეცნიერებების ბაკალავრი საერთაშორისო ურთიერთობებში
13	სწავლების ენა	ქართული,
14	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
15	განხორციელების ადგილი	საქართველო, ქ. თბილისი, 0102, პაატა სააკაძის ქ. 1

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ კი
თვითაცილება განაცხადა- გურანდა ჭელიძემ
საფუძველი- შრომითი ხელშეკრულების არსებობა დაწესებულებასთან

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა

დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმოიხილა პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობა, რომელიც შეფასდა შემდეგნაირად: პირველი, მეორე და მეოთხე სტანდარტი შეფასდა, როგორც შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

მეოთხე საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ არაგეგმიური მონიტორინგის პირობებში შპს კავკასიის უნივერსიტეტის „დიპლომატიის და საერთაშორისო ურთიერთობების'' საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამების „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობის დადგენის მიზნით პროგრამების შემოწმება წარმოდგენილი (ასევე დამატებით გამოთხოვილი) დოკუმენტაციის საფუძველზე განხორციელდა 2022 წლის 7-23 თებერვალს. შემოწმებისას, ძირითადი ყურადღება გამახვილდა აკრედიტაციის პირველ, მეორე და მეოთხე სტანდარტზე. დაწესებულებამ დიპლომატიისა და საერთაშორისო ურთიერთობების საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელ ჯგუფთან ერთად ძირითადად გაითვალისწინა 2019 წელს აკრედიტაციის დროს გამოთქმული რეკომენდაციები.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
საბჭოს თავმჯდომარე, გოდერძი ბუჩაშვილმა დააზუსტა, ხომ არ ფიქრობდნენ ექსპერტები რჩევებისთვის სხვა სტატუსის მინიჭებაზე.
ექსპერტმა განმარტა, რომ მონიტორინგის ფარგლებში არ არსებობდა არანაირი ხარვეზი პროგრამის განხორციელების კუთხით. შესაბამისად, საკითხები განისაზღვრა რჩევების სახით. პროგრამის ფარგლებში სწავლის შედეგების ინდიკატორები სწორად არის განსაზღვრული, აღინიშნება მხოლოდ მცირედი ხარვეზი, გამომდინარე აქედან საკითხი დასკვნაში ფორმულირდა რჩევის სახით.
საბჭოს წევრმა, ირინა ლობჟანიძემ აღნიშნა, რომ ერთ-ერთ რჩევა მოიაზრებს პროგრამის უცხოურ უნივერსიტეტებთან დადარებას. შესაბამისად, საბჭოს წევრმა მოუწოდა ექსპერტებს უფრო ვრცლად ესაუბრათ მოცემულ რჩევაზე.
ექსპერტმა განმარტა, რომ დაწესებულების მიერ დადარება განხორციელდა სტრუქტურისა და სწავლის შედეგებთან მიმართებაში და ნაკლებად გამოიკეთა მიზნებთან მიმართებაში დადარება, რამაც სწორედ განაპირობა მოცემული რჩევის განსაზღვრა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.
დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს და აღნიშნა, რომ მოცემულმა პროგრამამ გაიარა აკრედიტაცია და გაიარა პროცედურა, რომელი დაკავშირებული იყო ანგარიშის წარდგენასთან, რაც საბოლოოდ ცნობად იქნა მიღებული აკრედიტაციის საბჭოზე. დაწესებულებამ განახორციელა ყველა რეკომენდაცია რაც მიღებული იქნა აკრედიტაციის პროცესზე. რა თქმა უნდა აღნიშნული პროგრამას არ აჩერებს. მოცემული პროცესი მიმართული იყო პროგრამის მოდიფიცირებისკენ ახალი ჩარჩოს მოთხოვნების შესაბამისად, რა კუთხითაც დაწესებულებამ საკმაოდ აქტიურად იმუშავა.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 18:08
დასრულების დრო: 18:15

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - კავკასიის უნივერსიტეტის ,,დიპლომატიისა და საერთაშორისო ურთიერთობების'' საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 11
წინააღმდეგი - 0

საბჭოს წევრებმა სრულად გაიზიარეს ექსპერტთა მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:
• სასურველია უცხოურ ანალოგიურ პროგრამებთან დადარება ასევე მოხდეს პროგრამის მიზნების თანხვედრის ნიშნით.
• სასურველია სწავლის 1 და 2 შედეგებთან მიმართებით ზოგიერთი შეფასების ინდიკატორის რეფორმულირება რომ იყოს მკაფიო და გაზომვადი.
• სასურველია სწავლის 5 და 6 შედეგების რეფორმულირება რომ იყოს მკაფიო და გაზომვადი.
• სასურველია დაზუსტდეს არჩევითი ძირითადი სასწავლო კურსების ფარგლებში შემოთავაზებული საგნების ჩამონათვალი და მატი რელევანტურობა საერთაშორისო ურთიერთობების დარგისთვის ძირითადი არჩევითი სასწავლო კურსების სტატუსში;
• რიგ სასწავლო კურსებში სასურველია, დაზუსტდეს წინაპირობები, რათა გათვალისწინებული იქნას სასწავლო კურსებს შორის კონცეფტუალური ბმა.
• რიგ სასწავლო კურსებში სასურველია შეფასების მეთოდების დაზუსტება, რათა მეტად ეფექტიანად იქნას მიღწეული სასწავლო კურსით გათვალისწინებული სწავლის შედეგები;
• რიგ სასწავლო კურსების შემთხვევაში სასურველია სავალდებულო ლიტერატურის განახლება.
• პროგრამის მდგრადობის უზრუნველყოფის გაძლიერების მიზნით სასურველია გაიზარდოს აფილირებული აკადემიური პერსონალის რაოდენობა დარგობრივი ჭრილში.

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, 23-ე მუხლის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 31-ე მუხლის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ „სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტირუს 2011 წლის 01 ივნისი N233 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შეწყდეს შპს - კავკასიის უნივერსიტეტის ,,დიპლომატიისა და საერთაშორისო ურთიერთობების'' საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის არაგეგმიურ მონიტორინგთან დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოება. მიჩნეულ იქნეს, რომ ,,დიპლომატიისა და საერთაშორისო ურთიერთობების'' საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანებით დამტკიცებულ „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორს“.

5. მეხუთე საკითხი: შპს - კავკასიის უნივერსიტეტის ,,დიპლომატიისა და საერთაშორისო ურთიერთობების'' სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობის დადგენის განხილვა;

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	დიპლომატია და საერთაშორისო ურთიერთობები
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	23.04.2019,№102
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	დიპლომატია და საერთაშორისო ურთიერთობები
6	უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მე-7
9	კვალიფიკაციის დასახელება	საერთაშორისო ურთიერთობების მაგისტრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0312 პოლიტიკის მეცნიერებები და მოქალაქეობრიობის საფუძვლები
12	კვალიფიკაციის დასახელება და კოდი საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 10 დეკემბრის №120/ნ ბრძანების მიხედვით	საერთაშორისო ურთიერთობების მაგისტრი
13	სწავლების ენა	ქართული, ინგლისური კომპონენტებით
14	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	120
15	განხორციელების ადგილი	საქართველო, ქ. თბილისი, 0102, პაატასააკაძისქ. 1
16	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა - სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

√ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

√ კი

თვითაცილება განაცხადა- გურანდა ჭელიძემ

საფუძველი- შრომითი ხელშეკრულების არსებობა დაწესებულებასთან

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას,

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმოიხილა პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობა, რომელიც შეფასდა შემდეგნაირად: პირველი, მეორე და მეოთხე სტანდარტი შეფასდა, როგორც შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

მეხუთე საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ არაგეგმიური მონიტორინგის პირობებში შპს კავკასიის უნივერსიტეტის „დიპლომატიის და საერთაშორისო ურთიერთობების'' სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობის დადგენის მიზნით პროგრამების შემოწმება წარმოდგენილი (ასევე დამატებით გამოთხოვილი) დოკუმენტაციის საფუძველზე განხორციელდა 2022 წლის 7-20 თებერვალს. შემოწმებისას, ძირითადი ყურადღება გამახვილდა აკრედიტაციის პირველ, მეორე და მეოთხე სტანდარტზე. დაწესებულებამ დიპლომატიისა და საერთაშორისო ურთიერთობების საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელ ჯგუფთან ერთად ძირითადად გაითვალისწინა 2019 წელს აკრედიტაციის დროს გამოთქმული რეკომენდაციები.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.
დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 18:08
დასრულების დრო: 18:15

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - კავკასიის უნივერსიტეტის ,,დიპლომატიისა და საერთაშორისო ურთიერთობების'' სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 11
წინააღმდეგი - 0

საბჭოს წევრებმა სრულად გაიზიარეს ექსპერტთა მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება.

- სასურველია მოხდეს პროგრამის სწავლის მიზნების რეფორმულირება რომ ის იყოს მკაფიო და გაზომვადი.
- სასურველია პროგრამის მიზნებში არ მოხდეს პროგრამის სწავლის შედეგების პირდაპირი გამეორება.

- სასურველია პროგრამის მიზნების ჩამოყალიბებაში გათვალისწინებული იყოს საერთაშორისო გამოცდილება.
- სასურველია სწავლის შედეგების რეფორმულირება რომ იყოს მკაფიო და გაზომვადი.
- სასურველია, დაზუსტდეს პროგრამით გათვალისწინებული თავისუფალი კრედიტების რაოდენობა;
- საჯარო მმართველობის მიმართულება შესაძლებელია შეთავაზებული იქნას თავისუფალი კომპონენტის ფარგლებში და არ გამოიკვეთოს როგორც ცალკე კონცენტრაცია, რაც მეტად რელევანტურია მეცნიერების სამაგისტრო პროგრამის შემთხვევაში;
- სასურველია, კონცენტრაციების ფარგლებში დაზუსტდეს არჩევითი სასწავლო კურსების წინაპირობები. თითო კონცენტრაციის შემთხვევაში სავალდებულო საგნის/საგნების განსაზღვრა ხელს შეუწყობდა მასალის მეტად ეფექტიან ათვისებას.
- „აკადემიური წერის“ სასწავლო კურსის სილაბუსში სასურველია დაზუსტდეს სავალდებულო ლიტერატურის ჩამონათვალი, რათა მოხდეს მისი განსხვავება საბაკალავრო საფეხურის სილაბუსისგან;
- რიგი სასწავლო კურსების შემთხვევაში სასურველია საბაკალავრო და სამაგისტრო საფეხურის შინაარსობრივი დამთხვევების გადამოწმება;
- ყურადღება მისაქცევია სავალდებულო ლიტერატურის განახლების საკითხზე იმ სასწავლო კურსების შემთხვევაში, სადაც განიხილება მიმდინარე და/ან ხშირად ცვალებადი პროცესები.
- საბაკალავრო და სადოქტორო პროგრამებთან დადარების შედეგად სასურველია, დაზუსტდეს სწვალება-სწავლის მეთოდები, რომელიც გამოიყენება სამაგისტრო საფეხურზე

გადაწყვეტილება:

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, 23-ე მუხლის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 31-ე მუხლის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ „სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტირუს 2011 წლის 01 ივნისი N233 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შეწყდეს შპს - კავკასიის უნივერსიტეტის ,,დიპლომატიისა და საერთაშორისო ურთიერთობების'' სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის არაგეგმიურ მონიტორინგთან დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოება. მიჩნეულ იქნეს, რომ ,,დიპლომატიისა და საერთაშორისო ურთიერთობების'' სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანებით დამტკიცებულ „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორს“.

6. მეექვსე საკითხი: შპს - კავკასიის უნივერსიტეტის ,,დიპლომატიისა და საერთაშორისო ურთიერთობების'' სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობის დადგენის განხილვა;

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	საერთაშორისო ურთიერთობები

2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	29.08.2016, No121
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	საერთაშორისო ურთიერთობები
6	უმაღლესი განათლების საფეხური	დოქტორანტურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მე-8
9	კვალიფიკაციის დასახელება	საერთაშორისო ურთიერთობების დოქტორი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0312 პოლიტიკის მეცნიერებები და მოქალაქეობრიობის საფუძვლები
12	კვალიფიკაციის დასახელება და კოდი საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 10 დეკემბრის №120/ნ ბრძანების მიხედვით	საერთაშორისო ურთიერთობების დოქტორი
13	სწავლების ენა	ქართული
14	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	60
15	განხორციელების ადგილი	საქართველო, ქ. თბილისი, 0102, პაატასააკაძისქ. 1
16	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა - სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

√ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

√ კი

თვითაცილება განაცხადა- გურანდა ჭელიძემ

საფუძველი- შრომითი ხელშეკრულების არსებობა დაწესებულებასთან

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმოიხილა პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობა, რომელიც შეფასდა შემდეგნაირად: პირველი, მეორე და მეოთხე სტანდარტი შეფასდა, როგორც შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

მეექვსე საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ არაგეგმიური მონიტორინგის პირობებში შპს კავკასიის უნივერსიტეტის „დიპლომატიის და საერთაშორისო ურთიერთობების'' სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობის დადგენის მიზნით პროგრამების შემოწმება წარმოდგენილი (ასევე დამატებით გამოთხოვილი) დოკუმენტაციის საფუძველზე განხორციელდა 2022 წლის 1-20 თებერვალს. შემოწმებისას, ძირითადი ყურადღება გამახვილდა აკრედიტაციის პირველ, მეორე და მეოთხე სტანდარტზე. დაწესებულებამ დიპლომატიისა და საერთაშორისო ურთიერთობების საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელ ჯგუფთან ერთად ძირითადად გაითვალისწინა 2019 წელს აკრედიტაციის დროს გამოთქმული რეკომენდაციები.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

საბჭოს წევრმა, მაკა კაჭარავამ დააზუსტა თუ რა მოთხოვნები არსებობს დისერტაციის დაცვისთვის და, ასევე, როგორია პროცენტული მაჩვენებელი პლაგიატის შემთხვევაში.

საბჭოს წევრმა, ანზორ ბერიძემ დააზუსტა თუ საიდან გამომდინარეობს რეკომენდაცია აკადემიური პერსონალის გაზრდასთან დაკავშირებით.

საბჭოს წევრმა, მაკა კაჭარავამ დააზუსტა თუ რამდენ დოქტორანტს იღებს უნივერსიტეტი წლის განმავლობაში და როგორ რეგულირდება ხელმძღვანელის საკითხი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ აუცილებელ მოთხოვნას, ასევე, წარმოადგენს საერთაშორისო რეფერირებად ჟურნალში გამოცემული პუბლიკაცია, თუმცა პროგრამა ჯერ-ჯერობით არის ერთჯერადად აკრედიტებული და შესაძლოა ეს მოთხოვნები კიდევ გადაიხედოს მომდევნო აკრედიტაციის პროცესში. რაც შეეხება მსგავსებასთან დაკავშირებულ საკითხს, უნივერსიტეტის დონეზე არ არის დადგენილი მსგავსების პროცენტული მაჩვენებელი. დაწესებულება ხელმძღვანელობს პროგრამის შემქმნელი ორგანიზაციის საუკეთესო პრაქტიკით, რომელიც ამბობს, რომ შესაძლოა პლაგიატი იყოს, მსგავსების 1%-ში, მაგრამ არ იყოს მსგავსების 25%-ში. პლაგიატზე შემოწმების გარდა, ნაშრომი ეგზავნება ხელმძღვანელსა და აკადემიური ენის ცენტრს[ir1] და, შესაბამისად, მოწმდება თითოეული მსგავსება.

დაწესებულების წარმომადგენელმა ისაუბრა აკადემიურ პერსონალთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ საქართველოში საკმაოდ რთულია დარგის სპეციალისტების მოძიება, სწორედ ამიტომ არსებობს მცირე ხარვეზი საკითხთან მიმართებით.

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ ბოლო 2 წლის მანძილზე სადოქტორო საფეხურზე საკმაოდ შეზღუდული რაოდენობის სტუდენტების მიღება ხდებოდა. ბოლო მიღებაზე, ჩაირიცხა 7 დოქტორანტი. რაც შეეხება ხელმძღვანელობის საკითხს, სტუდენტებს ხელმძღვანელების არჩევა შეუძლიათ სახელმწიფო მართვის სკოლის აკადემიური პერსონალიდან.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება

დაწყების დრო: 18:08

დასრულების დრო: 18:15

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - კავკასიის უნივერსიტეტის ,,დიპლომატიისა და საერთაშორისო ურთიერთობების'' სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 11
წინააღმდეგი - 0

საბჭოს წევრებმა გაიზიარეს ექსპერტთა ჯგუფის მიერ განსაზღვრული შეფასება, თუმცა დაამატეს რჩება. შესაბამისად, საგანმანათლებლო პროგრამას განვითარების მიზნით განესაზღვრათ შემდეგი რჩევები:

1. სასურველია პროგრამის მიზნებში დაკონკრეტდეს დარგის ისეთი შინაარსობრივი კონტექსტი როგორიცაა: საერთაშორისო ურთიერთობების დარგის უახლეს მიდგომები..., ,,საერთაშორისო ურთიერთობების სფეროს....", რომ იყოს გაზომვადი.
2. სასურველია პროგრამის მიზნებში არ მოხდეს პროგრამის სწავლის შედეგების პირდაპირი გამეორება.
3. სასურველია უცხოურ ანალოგიურ პროგრამებთან დადარება ასევე მოხდეს პროგრამის მიზნების თანხვედრის ნიშნით.
4. სასურველია პროგრამის სწავლის შედეგების რეფორმულირება რომ სწავლის შედეგები იყოს მკაფიო და გაზომვადი.
5. სწავლის 1 და 2 შედეგებთან მიმართებით ზოგიერთი შეფასების ინდიკატორის რეფორმულირება რომ იყოს მკაფიო და გაზომვადი.
6. „პროფესორის ასისტენტობის" კომპონენტის შემთხვევაში სასურველია სწავლის შედეგების ფორმულირების დაზუსტება, რათა მეტად ეფექტიანად გათვალისწინებული იქნას კვალიფიკაციის ჩარჩოს მოთხოვნები. დასაზუსტებელია სწავლის შედეგების ფორმულირება „დიდი ქვეყნების საგარეო
პოლიტიკის" არჩევითი, „თანამედროვე პოლიტიკური ფილოსოფია და იდეოლოგიები", „საერთაშორისო ურთიერთობების თეორია", „კვლევის მეთოდები", „პროფესორის ასისტირების" სავალდებულო და „კონფლიქტების მოგვარების თეორიები", არჩევითი სასწავლო კურსების შემთხვევაში.
7. „აკადემიური წერის" სასწვლო კურსის სილაბუსში საჭიროა დაზუსტდეს სავალდებულო ლიტერატურის ჩამონათვალი, რათა მოხდეს მისი განსხვავება სამაგისტრო საფეხურის სილაბუსისგან. „დიდი ქვეყნების საგარეო პოლიტიკის" არჩევითი სასწავლო კურსის შემთხვევაში სასურველია განახლდეს ძირითადი ლიტერატურა, რათა განხილული იქნას თანამედროვე პროცესები. სასურველია სავალდებულო ლიტერატურის განახლება „სწავლების მეთოდების" სასწავლო კურსის სილაბუსის ფარგლებში.
8. სასურველია პროგრამაში პროგრამის მდგრადობის გაძლიერებისთვის და პროგრამის სამეცნიერო კვლევითი კომპონენტის ჯეროვნად განხორციელებისათვის დარგობრივი მიმართულებით გაიზარდოს აკადემიური აფილირებული პერსონალის და მოწვეული პერსონალის რაოდენობა.
9. სასურველია დაწესებულებამ განსაზღვროს სფეროს შესაბამისი ზოგადი სამეცნიერო ბაზების ჩამონათვალი.

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, 23-ე მუხლის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 31-ე მუხლის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ „სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისი N233 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული

კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შეწყდეს შპს - კავკასიის უნივერსიტეტის ,,დიპლომატიისა და საერთაშორისო ურთიერთობების'' სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის არაგეგმიურ მონიტორინგთან დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოება. მიჩნეულ იქნეს, რომ ,,დიპლომატიისა და საერთაშორისო ურთიერთობების'' სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანებით დამტკიცებულ „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორს“.

დღის წესრიგით განსაზღვრული ყველა საკითხის განხილვის შემდეგ საბჭოს სხდომა დახურულად გამოცხადდა 2022 წლის 15 აპრილის 18:20 საათზე.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ბუჩაშვილი გოდერძი

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ტეფნაძე დავით